საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ი. ი.

წარმომადგენელი - ა. ლ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 15.11.2021

საჩივრის რეგისტრაციის №079/21

საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ ლ. დ.-ს, სიითი /№/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ლ. დ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2021 წლის 15 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ი.-მა და მოითხოვა მამის, ლ. ი.-ის, ადვოკატისთვის, ადვოკატ ლ. დ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ი. ი.-ის განმარტებით, ვინაიდან ლ. ი.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო, მას ჰქონდა ალცჰაიმერის დაავადება და მოკლებული იყო შესაძლებლობას პრეტენზია წარედგინა ადვოკატ ლ. დ.-ს მიმართ. ი. ი.-მა, როგორც მამის კანონიერმა მემკვიდრემ, ლ. ი.-ის ნაცვლად მომართა ეთიკის კომისიას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, სამკვიდრო დავის საწარმოებლად მიმართა ადვოკატ ლ. დ.-ს და მხარეთა შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ამავე პერიოდში მამამისი - ლ. ი. ჩამოვიდა საქართველოში, რომელიც ნდობით აღიჭურვა ადვოკატ ლ. დ.-ს მიმართ და სთხოვა მას საადვოკატო მომსახურება გაეწია მიწის ნაკვეთის გადაფორმების საქმეში. ლ. ი.-ის სურვილის მიხედვით, თიანეთის რაიონ, ს. ---ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ს.კ ---) უნდა აღრიცხულიყო მისი შვილიშვილის ნ. გ.-ს საკუთრებაში. ლ. ი.-ის ნების შესახებ საჩივრის ავტორმა მამის მეუღლისაგან შეიტყო.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული საქმის საწარმოებლად, 2015 წლის 02 სექტემბერს ლ. ი.-მა მინდობილობა გაუფორმა ადვოკატ ლ. დ.-ს, რის შემდეგაც დატოვა საქართველოს ტერიტორია და დაბრუნდა რუსეთის ფედერაციაში.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. დ.-მ არაკეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები; ბოროტად ისარგებლა მინდობილობით და 2016 წელს გააფორმა მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება საკუთარ მეუღლესთან - თ. ხ.-სთან, რის შემდეგაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიწის ნაკვეთი აღირიცხა თ. ხ.-ს საკუთრებაში.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. დ.-ს არაკეთილსინდისიერი ქმედების შესახებ გაიგო 2021 წელს, რის შემდეგაც სცადა ადვოკატთან მოლაპარაკება, თუმცა უშედეგოდ. ი. ი.-ის განცხადებით, ადვოკატმა ლ. დ.-მ 2021 წლის 11 ივნისს ჩუქების ხელშეკრულება გააფორმა თ. ხ.-სთან, რის შემდეგაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიანი ელექტრონული ბაზის მიხედვით, მიწის ნაკვეთი ირიცხება ადვოკატ ლ. დ.-ს საკუთრებაში.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. დ.-ს წინააღმდეგ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და პოლიციას, რის შემდეგაც დაიწყო გამოძიება ადვოკატის მიმართ.

1.8 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა ლ. დ.-მ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები და ითხოვს მის დისციპლინირებას.

1.9 2022 წლის 07 თებერვალს, საჩივრის ავტორმა საქმისწარმოებაში ჩართო წარმომადგენელი - ა. ლ.. 2022 წლის 07 თებერვალს საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ა. ლ.-მ ეთიკის კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, რომ გარდაიცვალა საჩივრის ავტორის მამა - ლ. ი..

1.10 2022 წლის 07 თებერვალს ეთიკის კომისიის აპარატი დაუკავშირდა საჩივრის ავტორის წარმომადგენელს - ა. ლ.-ს მის კუთვნილ მობილურის ნომერზე: --- და პირად ელექტრონულ ფოსტაზე: --- და აცნობა, რომ ი. ი.-თან საპროცესო კოლეგიის სხდომა ჩაინიშნა 08 თებერვალს. საჩივრის ავტორი და მისი წარმომადგენელი საპროცესო კოლეგიის სხდომას არ დასწრებიან.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. დ.-მ 2021 წლის 27 იანვარს წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა ეთიკის კომისიაში, სადაც აღნიშნა, რომ ი. ი.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2015 წელს ლ. ი. გააცნო ნ. გ.-მ, როგორც ოჯახის ახლობელი. ლ. ი.-ს ჰქონდა დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი თიანეთის რაიონ ს. ---ში და სურდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის გაყიდვა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის დაინტერესებული იყო მიწის ნაკვეთის შეძენით და მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ მიწის ნაკვეთის ნასყიდობაზე. მიწის ნაკვეთის საფასურად განისაზღვრა 2000 ლარი, რაც ლ. დ.-მ სრულად გადაუხადა ლ. ი.-ს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2015 წლის 02 სექტემბერს გაფორმებულ მინდობილობაში, სადაც მარწმუნებელია ლ. ი., ხოლო რწმუნებულია ლ. დ., გათვალისწინებულია უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და შემდგომ მისი რწმუნებულის სურვლისამებრ განკარგვა/გაყიდვა, გაჩუქების უფლებამოსილება. ადვოკატი განმარტავს, რომ მინდობილობის გაფორმების შემდეგ ლ. ი. წავიდა ქ. ---, რის შემდეგაც მათ კომუნიკაცია აღარ ჰქონიათ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მინდობილობით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად, მიწის ნაკვეთი დაარეგისტრირა მეუღლის - თ. ხ.-ს საკუთრებაში. ადვოკატის განცხადებით, 2021 წელს ის და მისი მეუღლე თ. ხ. განქორწინდნენ, რის შემდეგაც მიწის ნაკვეთი აღრიცხეს საერთო შვილების საკუთრებაში.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ი. ი.-ისათვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ადვოკატსა და ლ. ი.-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება და ინფორმაცია, რომ საჩივრის ავტორმა ამის შესახებ 2021 წელს შეიტყო არ შეესაბამება სინამდვილეს.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ლ. ი.-ს არასდროს ჰქონია პრეტენზია მის მიმართ და არასდროს გამოუვლენია ნება, რომლის მიხედვითაც ეჭვქვეშ დააყენებდა გარიგების ნამდვილობის საკითხს, ამიტომ მისთვის გაუგებარია რას ემყარება ი. ი.-ის პრეტენზია მის მიმართ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. დ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – საერთო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

3.2 ი. ი.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 15 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2021 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ლ. დ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის ა) ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ლ. დ.-მ არაკეთილსინდისიერად გამოიყენა ლ. ი.-ის მიერ გადაცემული მინდობილობა (სანოტარო აქტი N) და საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა ლ. ი.-ის კუთვნილი უძრავი ქონება, რაც არ შეესაბამებოდა კლიენტის - ლ. ი.-ის ნებას.

5.2 ეთიკის კომისია, პირველ რიგში, ამოწმებს შეესაბამება თუ არა საჩივარი დებულებით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებს, ხოლო ამის შემდეგ ეთიკის კომისია საჩივარს ამოწმებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების (შემდეგში „დებულება“) 8.1 მუხლის მიხედვით „ეთიკის კომისიის აპარატი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს საჩივარი მიღების დღესვე თუ საჩივარი აკმაყოფილებს დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნებს და მიუთითოს მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი“. დებულების მე-7 მუხლის მიხედვით საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით შედგენილი და შეიცავდეს სავალდებულო რეკვიზიტებს კერძოდ, მხარეთა ვინაობას, საკონტაქტო ინფორმაციას, საჩივრის ფაქტობრივ გარემოებებსა და მოთხოვნებს. ი. ი.-ის საჩივარი აკმაყოფილებდა რეგისტრაციისათვის აუცილებელ ფორმალურ წინაპირობებს და საჩივარი დარეგისტრირდა.

5.3 დებულების 5.2 მუხლის მიხედვით „საპროცესო კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის აღძვრის, ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის ან წარმოების შეწყვეტის თაობაზე“, ხოლო 9(ა) მუხლის შესაბამისად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.1 მუხლის თანახმად: „ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ა)ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ)ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის“. კანონის მე-5-მე-9 მუხლები, ისევე როგორც ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ მაშინ, როდესაც ადვოკატი ასრულებს პროფესიულ ფუნქციას.

5.4 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას მომართა 2021 წლის 15 ნოემბერს, სადაც განმარტა, რომ ადვოკატმა არაკეთილსინდისიერად გაუწია საადვოკატო მომსახურება, მამამისს, ლ. ი.-ს. „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის ა) ქვეპუნქტის მიხედვით, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია „პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა.“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მიხედვით, ი. ი. წარმოადგენს ლ. ი.-ის მემკვიდრეს, თუმცა მას ამ ეტაპზე მიღებული არ აქვს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - სამკვიდრო მოწმობა. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დგინდება ი. ი.-ის უფლებამონაცვლეობა, რაც ეთიკის კომისიაში საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

5.5 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 28.1 მუხლის მიხედვით, „საპროცესო კოლეგის შეუძლია შეხვდეს მხარეებს ცალ-

ცალკე და მოსთხოვოს მათ წერილობითი ახსნა-განმარტებების გაკეთება მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით დაუსვას მხარეებს შეკითხვები“. შესაბამისად, ეთიკის კომისიის უფლებაა მხარეებთან ჩანიშნოს ზეპირი მოსმენა. ეთიკის კომისიის აპარატმა საპროცესო კოლეგიის სხდომის ჩანიშვნის თაობაზე 2022 წლის 07 თებერვალს აცნობა ი. ი.-ის წარმომადგენელს - ა. ლ.-ს. საჩივრის ავტორი და მისი წარმომადგენელი საპროცესო კოლეგიის სხდომას არ დასწრებიან, რაც მათი უფლებაა. კოლეგია უფლებამოსილია ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 27-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმეზე მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ი. ი.-ის მიერ წარმოდგენილი საჩივრის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების შედეგად, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება მხარეებთან გასაუბრების გარეშე, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, პრეტენზიის სამართლებრივი ხასიათი და მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდა დისციპლინური წარმოების გაგრძელების საფუძველს.

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ თუ საჩივრის ავტორი მოიპოვებს ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც ცვლის საქმისწარმოების შეწყვეტის არსებულ საფუძვლებს, მას შეუძლია განმეორებით მომართოს საჩივრით ეთიკის კომისიას.

5.7 შედეგად, საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების მე-6 მუხლის ა) ქვეპუნქტითა და მე-9) მუხლის ა) ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N079/21 ადვოკატ ლ. დ.-ს /სიითი N/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/